საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და
ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

02/05/2022
N 650

650-09-02-11-3-202205021337

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს აპარატის საორგანიზაციო

და საქმისწარმოების დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

პეტიციის „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავება“ -შესახებ

(09-02-13-ფ/154 11.03.2022)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტმა მიმდინარე წლის 2 მაისის სხდომაზე განიხილა თამილა ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილი პეტიცია (თან ახლავს 263 მოქალაქის ხელმოწერა) „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ქალთა სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავების“ შესახებ.

როგორც პეტიციის ავტორი აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ და მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკამ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა გენდერული თანასწორობის მიღწევის თვალსაზრისით, მაინც გამოწვევად რჩება ქალთა მდგრადი ჩართულობა ადგილობრივი თვითმმართველობის პროცესებში და მათი ეკონომიკურ-სოციალური თავისუფლების ხარისხი.

გენდერული თანასწორობის მიღწევის პროგრესის დაჩქარების მიზნით, აუცილებელია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიმართულებით მნიშვნელოვანი ზომების განხორციელება.

პეტიციის ავტორი ითხოვს - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/მხარდაჭერის მიზნობრივი პროგრამის შემუშავებას, მუნიციპალიტეტებისთვის დამატებით ტრანსფერის გამოყოფას, რომ მოხდეს შესაბამისი პროგრამის დაფინანსება, ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ განხორციელდეს ზემოაღნიშნული პროგრამა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 140[1] მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად კომიტეტმა მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები :

1. მოსაზრებებისათვის, აღნიშნული პეტიცია გადაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებს;
2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, 1 თვის ვადაში პასუხი აცნობოს პეტიციის ავტორსა და კომიტეტს.

მარინე გვიანიძე

კომიტეტის თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო